

ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები

1. ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

1.1. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) ნასყიდობის ხელშეკრულება; (ბ) წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები; და (გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი, რომელიც გაფორმდა ან მომავალში გაფორმდება მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში. ამასთან:

- 1.1.1. ნასყიდობის ხელშეკრულების, აგრეთვე ძირითადი პირობების ტექსტსა და დანართ(ებ)ის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება დანართ(ებ)ის პირობებს;
- 1.1.2. ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებსა და ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს;
- 1.1.3. დანართ(ებ)ის პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იმ დანართის პირობებს, რომელიც ადგენს უფრო სპეციალურ პირობებს და განკუთვნილია კონკრეტული სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. ანგარიში - ბანკში არსებული გამყიდველის საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 2.1.2. ანგარიშსწორება - სხვადასხვა საშუალებებით (მათ შორის საბანკო დაწესებულებების მეშვეობით) გადახდილი პირის მიერ ფულადი სახსრების მიღება პირისათვის გადაცემის შესრულების პროცესი;
 - 2.1.3. ბანკი - ნასყიდობის ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.4. განცხადებები და გარანტიები - ხელშეკრულების ძირითადი პირობების მე-3 მუხლში მოცემული გამყიდველის განცხადებები და გარანტიები;
 - 2.1.5. დანართი - მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დამატებითი დანართ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
 - 2.1.6. ინტელექტუალური პროდუქტი - მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ბანკის მოთხოვნით შექმნილი ნებისმიერი პროდუქტი/ნაწარმოები, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად დანიშნულების, გამოხატვის ფორმის და საშუალებისა), რომელთა მიმართაც არსებობს კანონმდებლობის საფუძველზე ინტელექტუალური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები (მათ შორის ინტელექტუალური პროდუქტთან დაკავშირებული საავტორო და მოძიქნავე უფლებები, პატენტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, დიპლომატიური ნიშნის ან/და ინტერნეტ დომენის სარგებლობასთან/გამოყენებასთან და განკარგავსთან დაკავშირებული უფლებები).
 - 2.1.7. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;
 - 2.1.8. კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
 - 2.1.9. მესამე პირ(ები) - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.10. ნასყიდობის ხელშეკრულება - მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც წინამდებარე პირობებთან და სხვა დანართებთან ერთად ქმნის ხელშეკრულებას.
 - 2.1.11. ძირითადი პირობები - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები, რომელიც წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განათავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge;
 - 2.1.12. მოძრავი ნივთი - ნებისმიერი ნივთ(ებ)ი, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით არ არის უძრავი ნივთ(ებ)ი;

- 2.1.13. უძრავი ნივთი - მიწის ნაკვეთი(ებ)ი მასზე არსებული შენობა-ნაგებობა(ებ)ით ან მის/მათ გარეშე, შენობა-ნაგებობა/შენობა-ნაგებობები (შენეხარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობა(ებ)ის ერთეული(ებ)ი (შენეხარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა/ნაგებობები;
- 2.1.14. მწარმოებელი - პირი, რომელიც აწარმოებს საბოლოო პროდუქტს (მათ შორის პროდუქტის ძირითად ელემენტს ან/და მის ნაწილს), აგრეთვე პირი რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გასაყიდად, გასაქირავებლად ან სხვა ფორმით სარგალობადად;
- 2.1.15. მხარე/მხარეები - ბანკი ან/და გამყიდველი კონტექსტის შესაბამისად;
- 2.1.16. ნივთობრივად უნაკლო - მოძრავი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შესაბამეა შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ მოძრავი ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი/ისინი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ნივთობრივად უნაკლო უთანაბრდება, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან განსხვავებული ან უფრო ნაკლები რაოდენობის მოძრავი ნივთის მიწოდება.
- 2.1.17. პირგასამტეხლო (ჯარიმა) - ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდაც მხარეს დაეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებითვე განსაზღვრული პირობებით. ამასთან, პირგასამტეხლოს დაანგარიშება დაიწყება დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მომენტიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების დამრღვევი მხარეს წარმოეწევა, მხოლოდ მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე.
- 2.1.18. პერსონალური მონაცემები - განიშარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.
- 2.1.19. პირი/პირები - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნი(ებ)ი;
- 2.1.20. პროდუქტი - ნაწარმოები, მოძრავი ნივთი ან მისი ნაწილი, გარდა გადაუმშავებელი, მეგობრელობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის, ნადირობის ან/და მიწათმოქმედების შედეგად მიღებული ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტ(ებ)ისა.
- 2.1.21. რეესტრი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, ფსიქიკური ქალაქების რეგისტრატორი ან/და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული მარეგისტრირებელი სუბიექტი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული მხარის უფლებების ან/და მოვალეობების რეესტრში რეგისტრაციას.
- 2.1.22. საანგარიშო თვე - 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- 2.1.23. საბანკო დღე - ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღის (ბანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახორციელებს საბანკო მომსახურებას.
- 2.1.24. უფლებრივად უნაკლო - მოძრავი ნივთი, რომლის მიმართ მესამე პირ(ებ)ს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები ბანკის წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ ბანკს პრეტენზია აღნიშნული უფლებების გამო;
- 2.1.25. გამყიდველი - ნასყიდობის ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
- 2.1.26. ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი - ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გეოციკა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადაამხდელი სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული მხარეთა ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელია ხდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას.
- 2.1.27. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი - მესამე პირ(ებ)ი, რომლებთანაც არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე გამყიდველი უზრუნველყოფს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.28. ხელშეკრულება - მხარეთა შორის გაფორმებული: (ა) ნასყიდობის ხელშეკრულება; ან/და (ბ) ნებისმიერი დამატებითი დანართი, რომელიც დაიდო/დაიდგა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. განცხადებები და გარანტიები

- 3.1. **გამყიდველი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 3.1.1. წარმოადგენს უფლებამოსიან და კმედუნარიან პირს, რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალბა (მინდობილობა);
 - 3.1.2. **ნასყიდობის საგანი** წარმოადგენს **გამყიდველის** საკუთრებას, რომელსაც არ გააჩნია უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი;
 - 3.1.3. **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **გამყიდველის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან, **გამყიდველის** დებულებებთან, წესდებებთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო/სამართლებრივი ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შევიცოების უფლებას;
 - 3.1.4. **ხელშეკრულების** დადების თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი **ფორს-მაჟორის** არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;
 - 3.1.5. **გამყიდველი** მოპასუხის ან მესამე პირის სახით არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას;
 - 3.1.6. წარმოადგენს გადახდისუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი, ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებას;
 - 3.1.7. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ), დავალბა (მინდობილობა) და სხვა) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;
 - 3.1.8. არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, **გამყიდველის** რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში (მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე) არასრულწლოვნის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას.
 - 3.1.9. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **გამყიდველის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **გამყიდველის** მიმე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ზორრტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება.
 - 3.2. **გამყიდველი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.
 - 3.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** ცალმხრივი უარის სათქმელად.
 - 3.4. **გამყიდველი** ვალდებულია **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში თავისი სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**. შეცვლინების პირობის დარღვევის გამო ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან **ბანკისთვის** წამოყენებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე სრული ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება **გამყიდველს**. ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება არ გამოირიგება **გამყიდველის** მიმართ **ხელშეკრულების** გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გამოყენების უფლებასაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 4.1. **ნასყიდობის საგნის ბანკისათვის მიწოდება.** **გამყიდველი** ვალდებულია **ნასყიდობის საგანთან** ერთად მიაწოდოს **ბანკს** მასთან (**ნასყიდობის საგანთან**) დაკავშირებული საბუთები, მოძირა ნივთის შემთხვევაში დამამზადებლის/შეარმოებლის მიერ **მომრავ ნივთზე** თანდართული დოკუმენტაცია, საგარანტიო დოკუმენტები, **მომრავ ნივთის** ექსპლუატაციის სახელმძღვანელო და სხვა, ხოლო **უმრავი ქონების** შემთხვევაში **რეესტრის** ამონაწერები, **უმრავი ქონების** ექსპლუატაციასთან, არქიტექტურულ-საინჟინრო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა.
- 4.2. თუ **ხელშეკრულების** საფუძველზე **გამყიდველი** უზრუნველყოფს **ნასყიდობის საგნის (მომრავ ნივთის) ბანკისათვის** მიწოდებას და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, **გამყიდველი** ვალდებულია **ნასყიდობის საგნის** გაგზავნის მიზნით დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც

- აუცილებელია **მომრავი ნივთის ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ადგილზე გადაზიდვისათვის.
- 4.3. **ბანკი** უფლებამოსილია **გამყიდველის** მიერ **ბანკისათვის** **ნასყიდობის საგნის (მომრავი ნივთის)** გაგზავნამდე ნებისმიერ დროს შეცვალოს **ნასყიდობის საგნის ბანკისათვის** მიწოდების ადგილი.
- 4.4. **გამყიდველი** ვალდებულია **ბანკს** მიაწოდოს **ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი**.
- 4.5. **გამყიდველის** მიერ **ბანკისათვის** **ნასყიდობის საგნის** მიწოდება, თუ ეს გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით**, უნდა დასტურდებოდეს **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.
- 4.6. მიუხედავად **მხარეთა** შორის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობის ან არარსებობისა, თუ **გამყიდველის** მიერ **ბანკისათვის** მიწოდებული **ნასყიდობის საგანი** ან მისი ნაწილი არ არის **უფლებრივად ან/და ნივთობრივად უნაკლო**, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **გამყიდველი**, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში (დამატებით ვადა), ვალდებულია საკუთარი ხარჯით (ა) აღმოფხვრას არსებული ნაკლი, (ბ) ხოლო გვაროვნული **მომრავი ნივთის** შემთხვევაში მიაწოდოს **ბანკს** ახალი **ნასყიდობის საგანი**. ამასთან, **გამყიდველისათვის** განსაზღვრული/დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს **გამყიდველს** ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება.
- 4.7. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ დამატებითი ვადა არ გამოიყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. **ბანკის** მიერ **გამყიდველის** გაფრთხილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) თავად განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა და მოსთხოვოს **გამყიდველს** ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეულის ხარჯის, მათ შორის ზიანის (ზარალის), სრულად ანაზღაურება ან (ბ) მოსთხოვოს **გამყიდველს ხელშეკრულების საფასურის** შემცირება ან/და (ბ) სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება.
- 4.8. თუ **გამყიდველმა ბანკისათვის** მიწოდებული **ნასყიდობის საგნისათვის** იქონია საგარანტიო (ვარგისიანობის) ვადა, ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი (როგორც უფლებრივი ასევე ნივთობრივი) წარმოშობს **ბანკის** მოთხოვნის უფლებას (მათ შორის ნაკლის გამოსწორების ან/და ზიანის/ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას).
- 4.9. **გამყიდველის** მიერ **ბანკისათვის** **ნასყიდობის საგანი** მიწოდებულად ჩაითვლება, **ნასყიდობის საგანის ბანკისათვის** გადაცემის და **ნასყიდობის საგანზე ბანკის** საკუთრების უფლების **რეესტრში** რეგისტრაციის მომენტიდან (ასეთი უფლების რეგისტრაციის სავალდებულობის შემთხვევაში).
- 4.10. **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ შემთხვევებში თუ **ნასყიდობის საგანთან** დაკავშირებული უფლებები (მათ შორის **ნასყიდობის საგანზე ბანკის** საკუთრების უფლება) საქიროებს **რეესტრში** რეგისტრაციას, **გამყიდველი** ვალდებულია **ნასყიდობის საგნის ბანკისათვის** მიწოდებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნული უფლებ(ებ)ის რეგისტრაციის მიზნით მიმართოს **რეესტრს** და წარადგინოს ყველა აუცილებელი და საჭირო დოკუმენტაცია. ამასთან **გამყიდველის** აღნიშნული ვალდებულება **ბანკს** არ ართმევს უფლებას, აღნიშნული ვადის განმავლობაში ან მისი ამოწურვის შემდგომ, მიმართოს **რეესტრს** **ნასყიდობის საგანთან** დაკავშირებული ზემოხსენებული უფლებ(ებ)ის (მათ შორის **ნასყიდობის საგანზე ბანკის** საკუთრების უფლების) რეგისტრაციის მოთხოვნა.
- 4.11. **შეცვლილი გარემოებები** **გამყიდველმა** დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც **გამყიდველის** მიერ **ხელშეკრულების** დადებისას შეუძლებელი იყო და რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულების საფასურის** გაზრდა (შემდგომში - **შეცვლილი გარემოებები**).
- 4.12. **ბანკის** მოთხოვნისას, **გამყიდველმა** უნდა წარუდგინოს **ბანკს** **ბანკისათვის** მისაღები ავტორიტეტული საექსპერტო დაწესებულების დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება **გამყიდველის** მიერ მითითებული **შეცვლილი გარემოებების** ნამდვილობა და გაკლენა **ხელშეკრულების საფასურის** მოცულობაზე.
- 4.13. **შეცვლილი გარემოებების** არსებობის დადასტურების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) მოითხოვოს **ხელშეკრულების** მისადაგება აღნიშნული გარემოებებისადმი ან (ბ) ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულება**.

5. ინტელექტუალური პროდუქტთან დაკავშირებული დამატებითი პირობები

- 5.1. **ბანკის** მიერ **გამყიდველისთვის** მიწოდებული ან **გამყიდველის** მიერ **ხელშეკრულების** საფუძველზე **ბანკისათვის** შექმნილი **ინტელექტუალური პროდუქტი** წარმოადგენს **ბანკის** ექსკლუზიურ საკუთრებას. ამასთან **გამყიდველის** მიერ **ბანკისათვის** **ინტელექტუალური პროდუქტის** მიწოდების შემთხვევაში **გამყიდველი** სრულად გადასცემს **ბანკს** **ინტელექტუალურ პროდუქტთან** დაკავშირებულ ყველა საავტორო და მომიჯნავე უფლებას (მათ შორის როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ უფლებებს), პატენტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის ან/და ინტერნეტ დომენის სარგებლობასთან/გამოყენებასთან და განკარგვასთან დაკავშირებული უფლებებს, რომელთა გადაცემა დასაშვებია **კანონმდებლობით**.
- 5.2. იმ შემთხვევაში თუ **ბანკის** მიერ **ინტელექტუალური პროდუქტი** სარგებლობა ან/და **ინტელექტუალური პროდუქტის** გამოყენება ან/და განკარგვა

საჭიროებს გამყიდველის ან/და ინტელექტუალური პროდუქტის შექმნაზე მომუშავე სხვა პირის ან/და პირის, რომლის ინტელექტუალური პროდუქტი ჩართულია გამყიდველის მიერ ზანკისათვის გადაცემულ ინტელექტუალურ პროდუქტში, თანხმობას/დასტურს/მოწონებას, გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ამგვარი თანხმობის/დასტურის/მოწონების მოპოვება და ზანკისათვის წარდგენა ზანკისათვის ინტელექტუალური პროდუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაცემამდე, ხოლო ინტელექტუალური პროდუქტის ზანკისათვის გადაცემისას ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, თანხმობის/დასტურის/მოწონების გაცემა ან/და მოპოვება და ზანკისათვის წარდგენა ზანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ზანკის მიერვე განსაზღვრული ფორმით, შინაარსით და პირობებით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ინტელექტუალური პროდუქტი შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს ან/და ინტელექტუალური პროდუქტის შექმნისას გამოყენებულია გამყიდველის ან/და მესამე პირის პერსონალური მონაცემები გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო თანხმობის/დასტურის/მოწონების მოპოვება აღნიშნული მონაცემების გამოყენებაზე/დამუშავებაზე, როგორც გამყიდველის და ზანკის ისე ნებისმიერი მესამე პირის მიერ.

5.4. გამყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ზანკი არ არის ვალდებული მიუთითოს ინტელექტუალურ პროდუქტზე ავტორის ვინაობა.

5.5. გამყიდველი იღებს ვალდებულებას ზანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მასალა გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიზნებისთვის და არ დაუშვას აღნიშნული მასალა(ებს) გასაჯაროება მესამე პირებზე გადაცემა ან/და სხვა სახით გამოყენება, თუ ზანკთან შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

6. ხელშეკრულების შესრულების გარანტია და კონტროლი

6.1. ზანკს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს გამყიდველის ან/და ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.2. გამყიდველი ვალდებულია ზანკის წერილობითი მოთხოვნისას უზრუნველყოს ზანკი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი სამუშაო პირობებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაუროს ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.2. მიუხედავად ძირითადი პირობების 7.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, გამყიდველი აცხადებს წინასწარ თანხმობას ზანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ზანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

7.2.1. გამყიდველის ნებისმიერი სახის ზანკში არსებული ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

7.2.2. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ზანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ზანკში მოქმედი კომერციული ურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს გამყიდველის ანგარიშიდან.

7.2.3. ზანკის წინაშე არსებული გამყიდველის ვალდებულებები გაქვითოს გამყიდველის წინაშე არსებულ ზანკის ნებისმიერ ვალდებულებაში (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ხელშეკრულების საფასურის გადახდის ვალდებულებაში და სხვა).

7.3. გამყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს ზანკს ნებისმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ზანკისაგან მიღებული მასალის (მათ შორის მოძრავი ან/და უძრავი ქონების) ან/და გამყიდველის მიერ მიწოდებული ნასყიდობის საგნის ან/და დამზადებული ნაკეთობის დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების შედეგად.

7.4. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს გამყიდველის მიერ ზანკისათვის პროდუქტის მიწოდებას და გამყიდველი წარმოადგენს პროდუქტის მწარმოებელს, გამყიდველი პასუხისმგებელია პროდუქტით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის/ზარალისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა გამყიდველი სახელშეკრულება ურთიერთობაში დაზარალებულ პირთან.

8. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

8.2.1. ზანკის მიერ, თუ გამყიდველი სრულად და ჯეროვნად არ შესრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნასყიდობის საგნის მიწოდების ვალდებულებას, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

8.2.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.2.3. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს ხელშეკრულების გალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ზანკს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულება უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და ზანკს მიზანშეწონილად მიაჩნია ხელშეკრულების უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, ხელშეკრულება შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.

8.4. იმ შემთხვევაში თუ ზანკი მიიღებს ხელშეკრულების გალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი, რომელიც 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში არ უნდა იყოს 10 (ათი) კალენდარული დღეზე ნაკლები, ხოლო 1 (ერთი) თვეზე ნაკლები ხნის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში - 1 (ერთი) კალენდარული დღეზე ნაკლები.

8.5. ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში:

8.5.1. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ზანკის ინიციატივით, ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია ზანკს დაუტოვოს (საკუთრებაში გადასცეს) მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე მიწოდებული ნასყიდობის საგანი ან მისი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ ზანკს გააჩნია მიღებული ნასყიდობის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ ინტერესი. ამასთან, ზანკი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს მიღებული ნასყიდობის საგნის პროპორციული საფასური;

8.5.2. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ზანკის ინიციატივით, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების საფუძველზე;

8.5.2.1. ზანკი უფლებამოსილია დაუბრუნოს გამყიდველს მიწოდებული ნასყიდობის საგანი ან მისი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო გამყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს ზანკს მიღებული ხელშეკრულების საფასური და დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ზანკს მის (ზანკის) მიერ გაწეული დანახარჯი, მათ შორის ნებისმიერი ზიანი (ზარალი);

8.5.2.2. ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია ზანკს დაუტოვოს (საკუთრებაში გადასცეს) მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე მიწოდებული ნასყიდობის საგანი ან მისი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ ზანკს გააჩნია მიღებული ნასყიდობის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ ინტერესი; ამასთან, ზანკი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს მიღებული ნასყიდობის საგნის პროპორციული საფასური;

8.5.3. ზანკი უფლებამოსილია გამყიდველის მიერ ზანკისათვის გადასახდელის მოკულობის ფარგლებში არ გადაუხადოს გამყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში არსებული ხელშეკრულების საფასური ან მისი ნაწილი, რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიკვითება) გამყიდველის მიერ ზანკისათვის გადასახდელის ანგარიშში.

8.6. ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს გამყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

8.7. თუ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მაშინ მხარეები იხელმძღვანელებენ შესაბამისი კანონმდებლობით.

9. ანგარიშსწორება

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ფულადი ვალდებულებები, გარდა ხელშეკრულების საფასურისა, უნდა შესრულდეს (გადახდეს უნდა იქნას) შესაბამისი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობიდან (პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგინადმი) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

9.2. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღლო ანგარიშწორების წესით.

9.3. უნაღლო ანგარიშწორების შემთხვევაში ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს ხელშეკრულებაში მითითებულ ან მხარეთა მიერ დამტკეპით მიწოდებულ/განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე.

10. კომუნიკაცია

10.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს** **ნასყიდობის ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

10.1.1. **გამყიდველის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი ნებისმიერი ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი, **ბანკის** მიერ **გამყიდველისთვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

10.1.2. **ბანკის** მიერ **გამყიდველისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **გამყიდველისთვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **გამყიდველის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.1.3. **ბანკის** მიერ **გამყიდველისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **გამყიდველის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს, ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.1.4. **ბანკის** მიერ **გამყიდველისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

10.2. იმ შემთხვევაში თუ **გამყიდველი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **გამყიდველს** მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

11. კონფიდენციალურობა

11.1. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გამჟღავნოს ან/და **შესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

11.2. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** შესაფუთვრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **შესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

11.3. **გამყიდველი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, **გამყიდველის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **ბანკის** კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, **შესამე პირ(ებ)ს** გადასცეს ან/და **შესამე პირ(ებ)ისა**გან მიიღოს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან), **გამყიდველის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია**;

12. დათქმა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე

12.1. **მხარეები** აცნობიერებენ, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებიდან გამომდინარე, თუ **ბანკისთვის** მომსახურების მიწოდება მათ შორის გულისხმობს **ბანკის** მხრიდან **გამყიდველისთვის** **პერსონალური მონაცემების/პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის გაზიარებას/გამჟღავნებას და/ან **გამყიდველის** მხრიდან ამ ინფორმაციაზე წვდომას/მის **ბანკისთვის** ან/და მისი სახელით დამუშავებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, **ბანკი** წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებელს, ხოლო **გამყიდველი** - მის უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას შესაბამისობაში იყოს ზემოხსენებული კანონის მოთხოვნებთან და მკაცრად დაიცავს ქვემოთ მოცემული პირობები.

12.2. **გამყიდველისთვის**, როგორც უფლებამოსილი პირისათვის, მომსახურების პროცესში **პერსონალური მონაცემების** შემცველ ინფორმაციაზე წვდომა/დამუშავება დაიშვება საჭიროებისამებრ, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნებისათვის ან/და დადგენილი პირობებით, მათ შორის იმ ტექნიკური ხარვეზების/პრობლემების დროულად აღმოფხვრის მიზნით, რაც ხელს უშლის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად

შესრულებას, ან/და თანმდევი **მომსახურების** სრული მოცულობით ჯეროვნად მიწოდებას (ასეთი არსებობის შემთხვევაში).

12.3. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში **გამყიდველი** ვალდებულია მოეპყრას მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას როგორც **კონფიდენციალურს**, პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ მოახდინოს **პერსონალური მონაცემების/პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის გადაცემა შესამე პირ(ებ)ზე, ასევე არ მოახდინოს ამ ინფორმაციის რაიმე გზით კოპირება. **გამყიდველი** ამასთანავე ვალდებულია მიიღოს ყველა კეთილგონიერული ზომა ინფორმაციის **კონფიდენციალურობის** დაცვის მიზნით წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის და მისი შეწყვეტის შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

12.4. **გამყიდველი** იღებს ვალდებულებას მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად. აღნიშნული, მათ შორის გულისხმობს **გამყიდველის** ვალდებულებას, **პერსონალურ მონაცემების** მისთვის გაზიარებამდე, უზრუნველყოს ინფორმაციის **კონფიდენციალურობის** შესახებ შიდა პოლიტიკის არსებობა (მათ შორის, თავის თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად წვდომის აუცილებლობის განსაზღვრა და მათი ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე). ინფორმაციაზე წვდომა დაიშვება უფლებამოსილი პირის მხოლოდ იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ასრულებენ **მხარეთა** მიერ გაფორმებული წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს და რომელთაც აქვთ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მათ შორის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

12.5. **პერსონალური მონაცემების შემცველ** ინფორმაციაზე **გამყიდველის** მხრიდან წვდომა/დამუშავება და მისით უარგებლობის უფლება დაიშვება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის და **გამყიდველი** იღებს ვალდებულებას სხვა არც ერთი ფორმით/მიზნით (მათ შორის არც პირდაპირი მარკეტინგისთვის) არ გამოიყენოს **მომსახურების** პროცესში მისთვის გამჟღავნებული/ხელმისაწვდომი **პერსონალური მონაცემები**.

12.6. **გამყიდველი** ამასთანავე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ელექტრონული და არაელექტრონული ფორმით არსებულ **პერსონალურ მონაცემთა** მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედების (შენახვა, წაშლა, შეცვლა, გამჟღავნება და სხვა) აღრიცხვა (მათ შორის ე.წ. ლოგირება) და შესაბამის მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა.

12.7. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა/სისტემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების შესაბამის მოთხოვნებს, ამასთან, **გამყიდველი** უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.

12.8. **გამყიდველი** ვალდებულია **პერსონალურ მონაცემებზე** არავავტორიზებული წვდომის ან **კონფიდენციალურობის** სხვაგვარად დარღვევის (ინციდენტის) შესახებ დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა წერილობით/ელექტრონული ფორმით შეატყობინოს **ბანკს**.

12.9. **გამყიდველი** ასევე ვალდებულია ითანამშრომლოს და აღმოუჩინოს დანაშაულები **ბანკს** წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში მის მიერ დამუშავებულ და **პერსონალურ მონაცემთა** შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებით საზედამხედველო და სხვა უფლებამოსილი ორგანო(ებ)ის მომართვების განხილვის, ასევე მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის მიერ წარდგენილი საჩივრების ან განცხადებების შესწავლისას, მათ შორის:

12.9.1. გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა მიაწოდოს **ბანკს** სრული ინფორმაცია საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებულ დეტალებთან დაკავშირებით, მათ შორის მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მის ხელთ არსებული მონაცემები;

12.9.2. გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა უზრუნველყოს **ბანკისთვის** საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებული საკითხის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი, მის ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის მიწოდება;

12.9.3. გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა უზრუნველყოს **ბანკის** წვდომა უფლებამოსილ პირთან (ადგილზე) არსებულ მონაცემებზე;

12.9.4. გაუწიოს **ბანკს** მხარდაჭერა და კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების (მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, გასწორება,

განახლება და სხვ.) გამოყენებას/რეალიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით.

12.10. **გამყიდველმა** დაუყოვნებლივ წერილობით/ელექტრონული ფორმით უნდა აცნობოს **ბანკს**, წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში დამუშავებულ **პერსონალურ მონაცემთა** გამჟღავნების მოთხოვნით სასამართლო, სამართალდამცავი და სხვა უწყებიდან შემოსული მიმართვების, ასევე მონაცემთა სუბიექტის მიერ მის **პერსონალურ მონაცემებთან** (მათ შორის მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან) დაკავშირებით მიღებული განცხადებების თაობაზე.

12.11. დაუშვებელია, **გამყიდველმა** მონაცემთა დამუშავების უფლება სხვა პირ(ებ)ს **ბანკის** თანხმობის გარეშე გადასცეს. ამასთან, გადაცემაზე **ბანკის** თანხმობის არსებობის შემთხვევაში, **გამყიდველი** ვალდებულია მონაცემთა დამუშავების უფლების გადაცემა განახორციელოს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მონაცემთა მიმღები (ქვე)კონტრაქტორ(ებ)ი ვალდებული იქნება მიიღოს ყველა აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად და მათზე გავრცელება ყველა ის ვალდებულება, რომლის შესრულებაზეც წინამდებარე ხელშეკრულებით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირი.

12.12. **გამყიდველმა ბანკის** წინასწარი წერილობითი ან ელექტრონული თანხმობის გარეშე არ უნდა განახორციელოს **ხელშეკრულების** ფარგლებში დამუშავებული **პერსონალური მონაცემების** გადაცემა (ტრანსფერი) იმ სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც არ განეკუთვნება ევროკავშირის ეკონომიკურ ზონას და არ არის მითითებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის¹ 2014 წლის 16 სექტემბრის #1 ბრძანებით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში.

12.13. **გამყიდველს** და **ბანკს** შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში **გამყიდველი** ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს **ბანკს** მის ხელთ არსებული მონაცემები.

12.14. **ბანკის** მოთხოვნისთანავე, ასევე ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, **გამყიდველი** ვალდებულია შეწყვიტოს **მონაცემთა** დამუშავება და დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა (თუ აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოცულობისა ან/და საჭიროებს მოძიებას/თავმოყრას) უნდა დაუბრუნოს **ბანკს პერსონალური მონაცემების** შემცველი ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ნებისმიერი ელექტრონული ან მატერიალური ასლი ან/და ამონაწერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშლის/გაანადგუროს მისთვის გადაცემული/გაზიარებული **პერსონალური მონაცემები** და ამ მონაცემების შემცველი ელექტრონული ან ფიზიკური ფორმით დაცული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. თუ **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის დაბრუნება ფიზიკურად ან/და ტექნიკურად შეუძლებელია **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაცია უნდა განადგურდეს ან წაიშალოს. **ბანკი** უფლებამოსილია **გამყიდველს** მოსთხოვოს მონაცემთა წაშლის დადასტურება.

12.15. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი **გამყიდველის** მიერ **პერსონალურ მონაცემთა** შემცველ ინფორმაციაზე განხორციელებული მოქმედებების კანონიერების ან/და წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, რაც მათ შორის გულისხმობს **გამყიდველისგან ხელშეკრულების** პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვას, რომლის მიწოდებაც **გამყიდველმა** უნდა უზრუნველყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნისაგან 3 (სამი) საბანკო დღისა. **ბანკის** მოთხოვნის საფუძველზე, **გამყიდველი** ასევე ვალდებულია დაუშვას **ბანკის** წარმომადგენლები იმ სამუშაო ადგილზე, სადაც ხორციელდება **ბანკის** მიერ მიწოდებული/გაზიარებული მონაცემების დამუშავება, მიწოდებულ/გაზიარებულ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის გატარებული ღონისძიებების ინსპექტირების მიზნით.

12.16. **ბანკი** უფლებამოსილია **გამყიდველს** მისცეს მითითებები/შენიშვნები **პერსონალურ მონაცემთა** შემცველი ინფორმაციის დამუშავებასთან/უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც **გამყიდველმა** უნდა შესასრულოს მითითების/შენიშვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა (აღნიშნული ვადა, შესაბამისი საჭიროების გათვალისწინებით და **მხარეთა** შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს).

12.17. **გამყიდველი** ვალდებულია **ბანკს აუნაზღაუროს** ის ზარალი, რომელიც ამ უკანასკნელს მიადგა **გამყიდველის** მხრიდან **პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების ხელშეკრულების ამ მუხლით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად, მათ შორის, თუ **გამყიდველის** მხრიდან წინამდებარე **ხელშეკრულებით** და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად, **ბანკს** შესაბამისი უფლებამოსილი/საზედამხებდელი ორგანო(ებს), ან/და ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან დაეკისრება რაიმე სახის ფულადი სასქვია, **გამყიდველი** ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **ბანკს** ამგვარი ზიანი (მათ შორის აუნაზღაუროს **ბანკს** ამ უკანასკნელისთვის დაკისრებული ნებისმიერი სახის ფულადი სასქვია ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12.18. **პერსონალურ მონაცემთა** შემცველი ინფორმაციის **კონფიდენციალურობას** და მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. კონკურენციის შეზღუდვა

13.1. წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით **გამყიდველი** იღებს ვალდებულებას, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში და მისი ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ნებისმიერი საფუძველით ან საფუძვლის გარეშე, **ბანკთან** შრომით ურთიერთობაში მყოფ ნებისმიერ პირს (დასაქმებული) არ სთხოვოს, არ დაარწმუნოს, არ გადაიბიროს არ წახალისოს ან/და ნებისმიერი მიზეზით არ გამოიწვიოს დასაქმებულის მიერ დამსაქმებელთან (**ბანკთან**) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. **გამყიდველი** ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ შესთავაზოს **ბანკის** დასაქმებულებს მასთან ან ნებისმიერ სხვა მესამე პირთან მუშაობა, ან/და პირადი საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს **გამყიდველისგან** მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება, მათ შორის აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს და შესაბამისად, მოთხოვნის შემთხვევაში **გამყიდველი** იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს **ბანკს** ერთჯერადი პირგასამტეხლო **ხელშეკრულების** საფასურის ექვსმაგი ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული დარღვეული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის **ხელშეკრულების** საფასურის მოცულობის 0.5%-ის ოდენობით.

14. პრეტენზიები და დავები

14.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.
 14.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

15. ფორს-მაჟორი

15.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.
 15.2. **მხარე**, რომელსაც წარმოეშვა **ფორს-მაჟორი**, მიუხედავად იმისა დასრულებულია თუ არა მისი მოქმედება, ვალდებულია: (ა) აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან 3 (სამი) **საბანკო დღის** ვადაში მიაწოდოს მეორე **მხარეს** **ფორს-მაჟორულ გარემოებ(ებ)თან** დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღწერას, მისი მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობას, შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის თარიღს/დროს და (ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებ(ებ)ით გამოწვეული/მოსალოდნელი შედეგების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალი) შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.
 15.3. **გამყიდველის** მიერ **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ზე** მითითებისა მათი არსებობა ან/და არარსებობა უნდა დასტურდებოდეს **კანონმდებლობის** საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელიც **ბანკს** უნდა წარედგინოს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** შესახებ **ბანკისათვის** ინფორმაციის მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

¹ 2019 წლის 10 მაისიდან - სახელმწიფო ინსპექტორი

- 15.4. ძირითადი პირობების 15.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესაბამის მხარეზე ვრცელდება ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის შეწყვეტის შემთხვევაშიც.
- 15.5. ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება ფორს-მაჟორის ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლებად ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის აღმოფხვრისთანავე.
- 15.6. გამყიდველი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები თუ (ა) ფორს-მაჟორის მოქმედება არ ახდენს გავლენას მათ სრულ და ჯეროვნად შესრულებაზე და (ბ) ზანკს აღნიშნული შესრულების მიმართ გააჩნია ინტერესი.
- 15.7. იმ შემთხვევაში თუ, ფორს-მაჟორის მოქმედებისას: (ა) ფორს-მაჟორის ვადის ხანგრძლივობა აღემატება 90 (თოხმოცდაათი) კალენდარულ დღეს ან (ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმართ ზანკს აღარ გააჩნია ინტერესი - ზანკი უფლებამოსილია ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების სრულად ან/და ნაწილობრივ შეწყვეტა.

16. გამყიდველების სიმრავლე

- 16.1. ხელშეკრულების მიზნებისათვის, „გამყიდველი“-ს დეფინიციამო მოცემულ პირებს ხელშეკრულების პირობები ვაგრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ ვაგრცელდება ამგვარ პირზე.
- 16.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი გამყიდველი:
- 16.2.1. თითოეული ასეთი გამყიდველი წარმოადგენს ზანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე;
- 16.2.2. თითოეული გამყიდველის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ზანკის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, დაზღვევის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;
- 16.2.3. ერთ-ერთ გამყიდველთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა გამყიდველების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ ზანკის მიერ რომელიმე გამყიდველის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ ვაგრცელდება სხვა გამყიდველებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;
- 16.2.4. ერთ-ერთი გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ზანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ გამყიდველს და მის მიმართ ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.
- 16.2.5. ზანკი უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ გამყიდველს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. სოლიდარული ვალდებულება ვრცელდება გამყიდველის უფლებამონაცვლეებსა და სამართალმემკვიდრეებზე მათი წილის შესაბამისად. თუ ერთი გამყიდველის ვალდებულებას შეასრულებს სხვა ნებისმიერი გამყიდველი კრედიტორის წინაშე მას უჩნდება რეგრესის უფლება იმ გამყიდველის მიმართ, ვისი ვალდებულებაც შეასრულა. თუ ერთ-ერთი გამყიდველი გადახდისუუნარო გახდება, ასეთ შემთხვევაში მის მიერ შესრულებული ვალდებულება თანაბრად ნაწილდება სხვა გამყიდველებზე.
- 16.2.6. გამყიდველის მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა დასაშვებია ყველა გამყიდველის მიერ ზანკისთვის წარდგენილი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე.

17. სხვა პირობები

- 17.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეჩნენ ხელშეკრულებას, სრულად ესმით ხელშეკრულების პირობების შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი მხარეთა მიერ.
- 17.2. თითოეული მხარე (ა) უფლებამოსილია ისარგებლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებ(ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ი.

- 17.3. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ზანკის მოთხოვნა გამყიდველის მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, ზანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 17.4. ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.
- 17.5. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ა/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- 17.6. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან აღნიშნული მხარის მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმომოხილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.
- 17.7. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითი და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.
- 17.8. გამყიდველი არ არის უფლებამოსილი ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებს) სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ზანკი მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს ხელშეკრულების განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.
- 17.9. ხელშეკრულების პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება მხარეებზე, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.
- 17.10. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა ზანკის იურიდიული მისამართი.
- 17.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება გამყიდველს (მათ შორის და არამარტო, გამყიდველი უზრუნველყოფს: (ა) ნასყიდობის საგნის ზანკისათვის მიწოდებას; (ბ) ნასყიდობის საგნის ზანკისათვის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის აწონვის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ნასყიდობის საგნის ზანკისათვის მიწოდების ადგილიდან სხვა ადგილას გადატანის ხარჯები და ა.შ.) ანაზღაურებას; და (დ) ნასყიდობის საგნის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირებისას დაზღვევას).
- 17.12. ხელშეკრულებაში არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამოქვეყნებული მოცემულია ხელშეკრულების შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.
- 17.13. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერამდე მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანზე არსებული სიტყვიერი ან/და წერილობითი შეთანხმებები ჩაითვლება ძალადაკარგულად.
- 17.14. გამყიდველი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულების ყველა გვერდს.
- 17.15. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ ხელშეკრულების ეგზემპლარებთან მიმართებაში.
- 17.16. ხელშეკრულების თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.